



წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ (RCT/EMPATHY)
პრეს - რელიზი (14/05/2019)

მოქალაქე შოთა დალაქიშვილის 16/12/2018 წ. წამების შესახებ პრეზიდენტის
საწინააღმდეგო ოპოზიციის მიტინგზე მსვლელობისას

ცენტრი „ემპათია“ - ს ექსპერტთა ჯგუფმა, 5 ექსპერტის მონაწილეობით 14/05/2019 - ში დაასრულა კომპლექსური - კომისიური სასამართლო ექსპერტიზა შოთა დალაქიშვილის წამების ფაქტთან დაკავშირებით. დასკვნა მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტების „სტამბოლის პროტოკოლი“-სა და დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის, მე - 10 - ე გადასინჯვის შესაბამისად.

ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ს/ს საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, ექსპერტიზის მსვლელობისას ადგილი ჰქონდა ექსპერტიზაში ხელის შეშლას, ვინაიდან საქმის პროკურორმა თინათინ ზუბაშვილმა უარი განაცხადა ქსერო - ასლების მონაწილეობაზე, ასევე დაარღვია რა პაციენტის ფუნდამენტური უფლება სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ არ გადმოგვცა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული დასკვნა გადაეგზავნა გურჯაანის პროკურატურას, ასევე გურჯაანის სასამართლოს, სადაც დაზარალებული შოთა დალაქიშვილის საქმეზე წარმოებს გამოძიება ს/ს კოდექსის 118 - ე მუხლით (სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება), რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით და მოვითხოვთ მუხლის გადაკვალიფიციერებას 144¹, რაც გულისხმობს ადამიანის წამებას.

ცენტრი „ემპათია“ - მოუწოდებს გურჯაანის რაიონულ პროკურატურას, ასევე გურჯაანის სასამართლოს მოახდინოს სწრაფი და ეფექტური გამოძიება და პასუხისმგებლობა მისცეს არა მარტო შემსრულებლები, არამედ დამკვეთებიც. ასევე, გამოძიება აწარმოოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წამების მუხლით.

აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 16/12/2018 სოფელ ველისციხის ტერიტორიაზე პოლიტიკური ოპოზიციის მიტინგზე მსვლელობისას, სადაც 10 - მდე ხელკეტებით შეიარაღებულმა პირმა სამართალდამცავების თვალწინ სასტიკად ცემა შოთა დალაქიშვილი, რის შედეგადაც მას აღენიშნა ღია ჭრილობები თავისა და სახის არეში, სახის ძვლების მოტეხილობა და ტვინის შერყევა, ასევე მიაღდა ფსიქოლოგიური ტრავმა. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია სამი პირი, თუმცა ვფიქრობთ, რომ ადეკვატურად გამოძიება არ მიმდინარეობს.

საქართველო, თბილისი 0160, კანდელაკის ქ. N23

23 Kandelaki Str. Tbilisi 0160, Georgia. Phone: (+995 32) 238 10 15.

“Hot Line” : +995599 885468/28

Fax: (+995 32) 238 10 33

VAT: 211322200

E-mail: centre@empathy.ge



REHABILITATION CENTRE FOR VICTIMS OF TORTURE EMPATHY

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ: +995 32 238 10 15; ფაქსი: +995 32 238 10 33 ; ცხელი ხაზი: +995 599 88 54 68/28.

Web-page: www.empathy.ge

Email: centre@empathy.ge; eka@empathy.ge

f: Rct Empathy



საქართველო, თბილისი 0160, კანდელაკის ქ. N23
23 Kandelaki Str. Tbilisi 0160, Georgia. Phone: (+995 32) 238 10 15.

“Hot Line” : +995599 885468/28

Fax: (+995 32) 238 10 33

VAT: 211322200

E-mail: centre@empathy.ge